PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ - კოლეჯი "სპექტრი"

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

ირმა ღარიბაშვილი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი სპექტრი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

■ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში ცენტრი) დირექტორის 02/12/2021 N1297048 ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით თამარ რემიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე) და ირმა ღარიბაშილი - დარგის ექსპერტი (წევრი), დაგვევალა სსიპ - კოლეჯ "სპექტრის" (შემდგომში კოლეჯი) საგანმანათლებლო პროგრამის „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია“ (ძირითადი დოკუმენტი, ადაპტირებული მოდულები, სასწავლო გეგმები ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე), საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლა და საკითხის შესაბამისად ასახვა დასკვნის პროექტში და დასკვნაში (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე).

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)

განმავითარებელი რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უმოკლეს ვადაში მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის ასაღებად; **მიმდინარე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დაწესებულებამ დააყენოს ინიცირება სსიპ განათლების ხარისხსი განვითარების ეროვნულ ცენტრში, რათა ცვლილება შევიდეს ჩარჩო დოკუმენტში და გასწორდეს არსებული ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ საწარმოო პრაქტიკის მოდულში საათების განაწილების ფორმაში გასწორდეს-შეიცვალოს საკონტაქო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. მოდულში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, რეკომენდირებულია გასწორდეს პროგრამის სასწავლო გეგმაც პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე გასვლამდე. სასწავლო გეგმის შესაბამისად საწარმოო პრაქტიკა იწყება 41-ე კვირას, და გრძელდება 6 კვირის განმავლობაში; **შესრულებული**

დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო დაწესებულებას <u>არ აქვს შესრულებული</u> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2019 წლის 19 ნოემბერს ჩატარებული კოლეჯ „სპექტრის“ ძირითადი სასწავლო „A“, სასწავლო-საწარმოო „B“ და სასწავლო - პრაქტიკული „D“ კორპუსების შენობა-ნაგებობების <u>დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისას (გამოკვლევისას) დადგენილი სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებები.</u> შესაბამისად, დარღვეულია შესრულების ვადები. თუმცა აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ დახმარების მიზნით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. დაწესებულებამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარება სთხოვა როგორც სახანძრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
უსაფრთხოების სისტემის მოწყობაზე, ასევე ინვენტარის შესყიდვასთან დაკავშირებით და წარუდგინა შესასყიდი ინვენტარის ინვოისები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოახდინა რეაგირება და მიმართა სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით შემდგომი რეაგირების მიზნით.

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კომპონენტის მითითებით.

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც მიეცა დაწესებულებას განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალა, მათ შორის პროგრამა, საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელთან გაფორმებული ხელშეკრულება და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 14/07/2021 სხდომის MES 0 21 0000706603 ოქმი. ოქმის თანახმად მონიტორინგი ითვალისწინებს „დაწესებულების მიერ, საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ შედგენილ მიწერილობაში გაწერილი ღონისძიებების შესრულების ამჟამინდელ მდგომარეობას, აღნიშნულის თაობაზე დასკვნის წარმოდგენასა და ასევე ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შედეგად დაწესებულების მიერ „სანტექნიკური სამუშაოების ექსპლუატაციის“ შეცვლილი პროგრამის პაკეტის წარმოდგენას“.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და გაანალიზების შედეგად შემუშავდა წინამდებარე დასკვნაში. დოკუმენტი ითვალისწინებს 2 საკითხს: დაწესებულების მიერ, საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ შედგენილ მიწერილობაში გაწერილი ღონისძიებების შესრულების ამჟამინდელ მდგომარეობას და აღნიშნულის თაობაზე დასკვნის წარმოდგენასა და ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შედეგად დაწესებულების მიერ „სანტექნიკური სამუშაოების ექსპლუატაციის“ შეცვლილი პროგრამის პაკეტის წარმოდგენას (პაკეტი უნდა მოიცავდეს სასწავლო გეგმას, ასევე საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებლის ხელშეკრულებაში ცვლილებას).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შედეგად დაწესებულების მიერ „სანტექნიკური სამუშაოების ექსპლუატაციის“ შეცვლილი პროგრამის პაკეტის წარმოდგენა (პაკეტი უნდა მოიცავდეს სასწავლო გეგმას, ასევე საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებლის ხელშეკრულებაში ცვლილებას).

პროგრამის დამტკიცებულია 2020 წლის 10 თებერვალს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N51; კოლეჯის დირექტორის ბრძანებით პროგრამაში სხვადასხვა დროს განხორციელებულია ცვლილებები: 2020 წლის 05 მარტის ბრძანება N 108 და N 110, 2021 წლის 26 თებერვლის ბრძანება N 37, 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება N257, 2021 წლის 25 აგვისტოს N325 ბრძანება.

დაწესებულებამ მესამე დონის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა(მოდულური) „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია“ დაიმატა 2020 წელს (07/05/2020 N 365455). პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ქ. №10, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა **75.**

პროგრამის მოცულობაა 79 კრედიტი არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, 94 კრედიტი არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის.პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 12 თვე, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 14 თვე. პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციაა საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში, სპეციალიზაციის/ სწავლის დეტალური სფეროს კოდი-0732.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში - საბაზო განათლება.

პროგრამის მიზანია ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრის მომზადებას. კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს საკანალიზაციო ქსელზე საექსკავაციო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შეკეთებითი და სამუშაოების ჩატარება. სამუშაო სრულდება უსაფრთხოების წესების დაცვითა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებით.

პროგრამის დასრულების სემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა:

- წაიკითხოს სამშენებლო ნახაზები
- შეადგინოს სამშენებლო-სანტექნიკური სქემები
- მოაწყოს დასახლებული ადგილებისა და შენობების გარე წყალმომარაგების ქსელები
- მოაწყოს წყალარინების გარექსელებისა და სანიაღვრე სისტემა
- განახორციელოს შიდა წყალსადენი სისტემების მონტაჟი
- განახორციელოს შიდა წყალარინება
- განახორციელოს თბომომარაგება
- განახორციელოს ჰელიოსისტემის მოწყობა.

პროგრამას აქვს ზოგადი 6 მოდული ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით და საერთო პროფესიული 2 მოდული ჯამური 6 კრედიტის ოდენობით.

პროგრამა მოიცავს 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 57 კრედიტის რაოდენობით. სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 79 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 94 კრედიტი, რომელთაგან 79 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 მოდული (15 კრედიტი).

პროგრამა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას. წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა ჯგუფისა მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია დააყენოს ინიცირება სსიპ განათლების ხარისხსი განვითარების ეროვნულ ცენტრში, რათა ცვლილება შევიდეს ჩარჩო დოკუმენტში და გასწორდეს არსებული ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საწარმოო პრაქტიკის მოდულში საათების განაწილების ფორმაში გასწორდეს-შეიცვალოს საკონტაქო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. იხ. ცხრილი1

ცხრილი1

სწავლის შედეგები	**საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით**			
	საკონტაქტო	**დამოუკიდებელი**	**შეფასება**	**სულ**
1	0	24	1	**150**
2	0	24	1	
3	0	49	1	
4	0	49	1	
სულ:		**146**	**4**	

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული უზუსტობა აღმოფხვრილია კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში, კერძოდ საწარმოო პრაქტიკის მოდულში გასწორებულია საათების განაწილების სქემა. იხ. ცხრილი2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ცხრილი2

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით			
	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	შეფასება	სულ
1	24	0	1	150
2	24	0	1	
3	47	0	2	
4	41	8	2	
სულ:	136	8	6	

დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი პაკეტი ასევე მოიცავს სასწავლო გეგმას. ექსპერტთა შეფასებით საწარმოო პრაქტიკის მოდულში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, გასწორებულია პროგრამის სასწავლო გეგმაც.

დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი პროგრამის მოიცავს ასევე საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებლის ხელშეკრულებაში ცვლილებას.2021 წლის 26 ნოემბერს კოლეჯსა და კომპანია „ევრომასტერს“ (ყოფილი „ჯეოტურანი“) შორის გაფორმდა შეთანხმება(ცვლილება არსებულ 2013 წლის 19 დეკემბრის N 66 მემორანდუმში), რომლის საფუძველზეც საწარმოო პრაქტიკის საკონტაქტო საათების გავლა მოხდება კომპანიის სასწავლო ცენტრში და არა ტერიტორიაზე არსებულ C გარემოში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ინტერვიურებისას აღნიშნა, კოლეჯი ყველა მოდულის ფარგლებში პრაქტიკულ კომპონენტს განახორციელებს თავის ტერიტორიაზე არსებულ C გარემოში.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია vet.ge-ზე ატვირთულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმნეტთან.

2. **საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ შედგენილ მიწერილობაში**

გაწერილი ღონისძიებების შესრულების ამჟამინდელ მდგომარეობას და აღნიშნულის თაობაზე დასკვნის წარმოდგენა.

დაწესებულებამ წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიიღო განმავითარებელი რეკომენდაცია უმოკლეს ვადაში მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის ასაღებად;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ (საბჭოს სხდომის ოქმი №706603; 14.07.2021) კოლეჯ სპექტრს „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის“ პროგრამაზე განესაზღვრა ავტორიზაციის სტანდარტების 5.1 კომპონენტის მონიტორინგი. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენდა კოლეჯის მხრიდან სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოუდგენლობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 2019 წლის 19 ნოემბერს ჩაატარა კოლეჯ „სპექტრის“ ძირითადი სასწავლო „A“, სასწავლო- საწარმოო „B“ და სასწავლო - პრაქტიკული „D“ კორპუსების შენობა-ნაგებობების დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) და შედეგები მიწერილობების სახით გაეგზავნა საგანმანათლებლო დაწესებულებას. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი 2019 წლის 28 ნოემბრის მიწერილობები სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დარღვევების აღმოფხვრაზე(შემდგომში მიწერილობა). (მიწერილობებში გაწერილია თითოეული რეკომენადციის შესრულების ვადა, რეკომენადციის შესრულების მაქსიმალური ვადაა 01.08.2020).

მიწერილობა №2085 ეხება ქ. თბილისში ჭიჭინაძის ქ. №10 -ში მდებარე კოლეჯ „სპექტრის“ ძირითადი სასწავლო „A“ კორპუსის (4 სართულიანი შენობა) დეტალურ სახანძრო-ტექნიკურ შემოწმებას. დოკუმენტში მითითებულია შემოწმების (გამოკვლევის) შედეგად გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებები შესრულების ვადების მითითებით.

მიწერილობა №2086 ეხება ქ. თბილისში ჭიჭინაძის ქ. №10 -ში მდებარე კოლეჯ „სპექტრის“ სასწავლო-საწარმოო „B“ კორპუსის (2 სართულიანი შენობა) დეტალურ სახანძრო-ტექნიკურ შემოწმებას. დოკუმენტში მითითებულია შემოწმების (გამოკვლევის) შედეგად გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებები შესრულების ვადების მითითებით.

მიწერილობა №2087 ეხება ქ. თბილისში ჭიჭინაძის ქ. №10 -ში მდებარე კოლეჯ „სპექტრის“ სასწავლო-პრაქტიკული „D“ კორპუსის (4 სართულიანი შენობა) დეტალურ სახანძრო-ტექნიკურ შემოწმებას. დოკუმენტში მითითებულია შემოწმების (გამოკვლევის) შედეგად გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებები შესრულების ვადების მითითებით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაწერილი შეფასება ეფუძნება საქართველოში მოქმედ კანონსა და ტექნიკურ რეგლამენტებს, კერძოდ:-საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ; “სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის №370

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დადგენილება; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილება „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“.

ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს კოლეჯის დირექტორის მიერ 2021 წლის 2 ივლისს, გაგზავნილი №666151 წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, სადაც გაწერილია, რომ კოლეჯმა ვერ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება ქვეყანაში არსებული კოვიდ ვითარების გამო. წარმოგიდგენთ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაც ვერ შეძლო დაწესებულებამ: სარდაფში, მთლიან შენობაში დამონტაჟდეს სახანძროს სიგნალიზაციის დეტექტორები; შენობაში არსებული სახანძრო სიგნალიზაციის მართვის პულტი შეიცვალოს სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაციის მართვის პულტით; სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი ოთახი აღიჭურვოს ხმამაღლა მოლაპარაკე კავშირის მოწყობილობით და არანაკლებ სამი გამართული ელექტრო ფარნით; შენობაში უზრუნველყოფილ იქნას სახანძრო სიგნალიზაციის და განგაშის ღილაკის ადამიანთა მაუწყებლობის სისტემის ავტომატური ამოქმედება; კიბის უჯრედში გამავალი საინჟინრო კომუნიკაციებისთვის განკუთვნილი ღიობები შეივსოს ცეცხლმედეგობის შესაბამისი ზღვარის მქონე უწვი მასალით; ელექტრო სადენები გაყვანილ იქნას უწვი საკაბელო არხების გამოყენებით, დაემატოს “საევაკუაციო გზის” მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები, დამონტაჟდეს ავარიული განათება; დაწესებულების განმარტებით, ღონისძიების შესრულების ვადები დაემთხვა პანდემიის პერიოდს. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესასრულებლად საჭირო თანხები კოლეჯს არ გააჩნია და სამინისტროს სთხოვს დახმარებას.

მიწერილობა N2086-ის პირველი პუნქტის მიხედვით ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, შენობაში სახანძრო სიგნალიზაციის დამონტაჟება. ექსპერტებმა ასევე შეისწვალეს კოლეჯის დირექტორის მიერ 2021 წლის 8 ნოემბერს გაგზავნილი №1197886 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ კოლეჯმა მოახდინა ბაზრის კვლევა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სთხოვს დახმარებას ინვენტარის შესყიდვასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას სამინისტროში წარდგენილი აქვს ინვოისები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით შემდგომი რეაგირების მიზნით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წარუდგინა ზემოთხსენებული №1197886 წერილი (წერილი №1200621; 09.11.2021).

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილია 2021 წლის 16 ივლისის (№714735) წერილი, სადაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი აღნიშნავს სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მხრიდან კომპეტენციის ფარგლებში რეაგირების განხორციელების მიზანშეწონილებაზე. პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ გაწერილი (№689790; 08.07.2021) სამსახურებრივი ბარათი გაეგზავნა ეკონომიკურ დეპარტამენტს, სადაც სთხოვს დახმარება გაუწიოს საგანმანათლებლო დაწესებულებას საკითხების მოგვარების მიზნით. აღნიშნული წერილის პასუხად, ეკონომიკურმა დეპარტამენტმა წარადგინა სამსახურებრივი ბარათი (№710060; 14.07.2021). დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საკითხი ითვალისწინებს ინფრასტრუქტურულ ხარჯებს, ამასთან წერილს თან არ ახლავს აღნიშნული სისტემის მოწყობის პროექტი/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ეკონომიკურ დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ წარმოდგენილი კორესპონდენცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნოს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, რომელიც კოლეჯთან თანამშომლობით უზრუნველყოფს შესაბამის ღონისძიებებს.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო დაწესებულებას <u>არ აქვს შესრულებული</u> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2019 წლის 19 ნოემბერს ჩატარებული კოლეჯ „სპექტრის“ ძირითადი სასწავლო „A“, სასწავლო-საწარმოო „B“ და სასწავლო - პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„D“ კორპუსების შენობა-ნაგებობების <u>დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისას (გამოკვლევისას) დადგენილი სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებები.</u> შესაბამისად, დარღვეულია შესრულების ვადები. თუმცა აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ დახმარების მიზნით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. დაწესებულებამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარება სთხოვა როგორც სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობაზე, ასევე ინვენტარის შესყიდვასთან დაკავშირებით და წარუდგინა შესასყიდი ინვენტარის ინვოისები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოახდინა რეაგირება და მიმართა სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით შემდგომი რეაგირების მიზნით.

თბილისი

10.01.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: